ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 16 ოქტომბრის სხდომის

ოქმი #10

2020 წლის 16 ოქტომბერს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 31.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების დამტკიცება;
2. სწავლების საუდიტორიო რეჟიმზე დაბრუნების შესახებ.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების დამტკიცება. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე აუცილებელია განისაზღვროს და დამტკიცდეს დოკუმენტი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების შესახებ. ხარსხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ სხდომამდე დაუგზავნა საბჭოს წევრებს აღნიშნული დოკუმენტის პროექტი. მოგვიანებით, დოკუმენტში დასაბუთებული შესწორებები შეიტანა პროფესორმა ნ.შათაშვილმა (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ბ.თუთბერიძემ, თ.ჭელიძემ, ნ.ელიზბარაშვილმა, გ.ღვედაშვილმა, ნ.დორეულმა, ზ.სეფერთელაძემ. მათ ისმჯელეს დოკუმენტის დეტალებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების ამსახველი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ (იხ.დანართი 1).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების ამსახველი დოკუმენტი (იხ. დანართი 1).

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - სწავლების საუდიტორიო რეჟიმზე დაბრუნების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო წინა დღის სიახლე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის N778305 ბრძანებაში ,,2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის

განხორციელების შესახებ" შეტანილი ცვლილები (იხ. დანართი 2). შემდეგ ბატონმა რამაზმა საბჭოს წევრებს შესთავაზა ემსჯელათ წინადადებაზე, რომლის მიხედვითაც დისტანციურად სწავლება მიზანშეწონილია 9 ნოემბრამდე გაგრძელდეს და პრაქტიკულ/ლაბორატორიული კონტაქტური ფორმის მეცადინეობების აღდგენა მოხდეს 9 ნოემბერი - 26 დეკემბერი პერიოდში.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა დ.ძიძიგურმა სხდომის დაწყებამდე დააფიქსირა თავისი აზრი. მან აღნიშნა, რომ წინააღმდეგია იმისა, რომ ისევ ონლაინ გაგრძელდეს მეცადინეობები და გამონაკლის შემთხვევაში მხარს დაუჭერს კონტაქტური სწავლების ორი კვირით გადადებას (სანამ რემონტი დამთავრდება და აუდიტორიები მოწესრიგდება). შემდეგ მან დატოვა სხდომა, რადგან ლექცია ეწყებოდა. საკითხის ირგვლივ სჯა-ბაასი გაიმართა. აზრი გამოთქვა საბჭოს თითქმის ყველა წევრმა, მათ შორის სტუდენტებმაც. პროფ.ო.მუკბანიანმა გამოთქვა ვარაუდი, რომ მერე უფრო გაუარესდება სიტუაცია და სჯობს ახლავე დავიწყოთ ლაბორატორიულების ჩატარება. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ პანდემიის გამწვავების პერიოდში სტუდენტები უკვე მხარს აღარ უჭერდნენ კონტაქტური მეცადინეობების აღდგენას. გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია მეცადინეობის ფორმის დასახელებებმა ბრძანებაში, რადგან მოხდა ფაკულტეტზე არსებულ მეცადინეობების დასახელებებთან გაიგივება. გამოითქვა სურვილი, რომ ადმინისტრაციამაც იზრუნოს უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. საბოლოო მსჯელობის შედეგად დაზუსტდა დადგენილების ტექსტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების ტექტს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 1, თავი შეიკავა - 2.

დაადგინეს: 9 ნოემბრამდე სასწავლო ცხრილში პრაქტიკული სწავლების კომპონენტები ჩანაცვლდეს თეორიული მეცადინეობებით დისტანციურ რეჟიმში. პრაქტიკულ /ლაბორატორიული კონტაქტური ფორმის მეცადინეობების აღდგენა მოხდეს 9 ნოემბერი - 26 დეკემბერი პერიოდში.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი